

DIZIONARIO
ITALIANO-GEORGIANO

იტალიურ-ქართული
ლექსიკონი

II

M-Z

II

ნ. ცერცვაძე, კ. დებიასი, თ. ახმეტელი

იტალიურ-ქართული
ლექსიკონი

ტომი II

M-Z



გამომცემლობა „ოასისი“
თბილისი - 2004

III

N. Tsertsvadze, C. Debiasi, T. Akhmeteli

DIZIONARIO
ITALIANO-GEORGIANO

Volume II

M-Z



CASA EDITRICE "OASISI"
TBILISSI - 2004

81.2Итал-4
805.0-3=9.463.1
o 913

რედაქტორი: ნოდარ ნუსუბიძე

ნ. ცერცვაძე, კ. დებიანი, თ. ასმეტელი

იტალიურ-ქართული ლექსიკონი, II ტომი, გვ. 1034.

წინამდებარე ლექსიკონში წარმოდგენილია თანამედროვე იტალიური ენის დაახლოებით 70 000 სიტყვა და გამოთქმა, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერო, ტექნიკურ, სპორტულ, რელიგიურ და ა.შ. ტერმინოლოგიას; აგრეთვე სასაუბრო ენის უველაზე ხშირად გამოსაყენებელ სიტყვებს, ფრაზეოლოგიკებსა და იდიმატურ გამოთქმებს.

ლექსიკონი განკუთვნილია იტალიური ენისა და კულტურის შესწავლით დაინტერესებულთა ფართო წრისათვის.

© ნ. ცერცვაძე, კ. დებიანი, თ. ასმეტელი, 2004

ISBN 99928-894-3-8

წინასიტყვაობა

იტალიურ-ქართული ლექსიკონის პირველი ტომის გამოქვეყნებიდან მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ მოხერხდა მეორე ბოლო ტომზე მუშაობის დასრულება.

მკაფიოდ ვაცნობიერებთ, რომ მკითხველს ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ ეძლევა საშუალება ისარგებლოს ნაშრომის მეორე ტომით, მაგრამ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი ჩვენს სწორ არჩევანში, შეგვექმნა გაცილებით ვრცელი და ლექსიკური მარაგით გამდიდრებული ნაშრომის მეორე ნაწილი. მითუმეტეს, რომ შეარად გვაქვს გადაწყვეტილი ასეთივე ვრცელი და შევსებული პირველი ტომის უახლოეს ხანებში ხელახლა გამოქვეყნება.

როგორც პირველი, ასევე მეორე ტომიც, ძირითადად, ქართველი მკითხველისთვისაა განკუთვნილი. ლექსიკონის გამოყენების არეალი მკითხველთა ფართო წრეს მოიცავს. ესენი არიან - იტალიური ენის სპეციალისტები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, თარჯიმნები, მეცნიერები, პოლიტიკოსი, ეკონომიკისა და კულტურის სფეროში მოღვაწე პირები და სოცადად, უველა ის, ვინც იტალიური ენის და კულტურის შესწავლითა და ცოდნის გაღრმავებითაა დაინტერესებული.

ლექსიკონის მეორე ტომში შეტანილ სიტყვებს, მათი პირდაპირი და გადატანილი მნიშვნელობების გარდა, ბევრი ფიგურალური და იდიმატური გამოთქმა, ფრაზეოლოგიკები და ანდაზა ახლავს. მთლიანად მეორე ტომი დაახლოებით 70 000 ლექსიკურ ერთეულს მოიცავს. გარდა ამისა, წინამდებარე ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი ისტორიული, ლიტერატურული, კულტურისა და ხელოვნების, პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, რელიგიური, ფილოსოფიური, კულინარიული და სპორტული ტერმინოლოგია, აგრეთვე, საღაპარაკო ენაში გავრცელებული სიტყვა-გამოთქმები, კუნსური ვარიანტები, ლათინური, ინგლისური, ფრანგული და სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები, ქარგონული ფორმები და ა. შ.

იმის გამო, რომ წარმოდგენილი ნაშრომი ქართულ ენაზე ამკვარი ლექსიკონის შექმნის პირველი მცდელობაა, მის ავტორებს, მიუხედავად მრავალწლიანი

დაულაღაე შრომისა, პრეტენსია არა აქვს, რომ იგი საბოლოო და სრულყოფილია, პირიქით, ეს ნაშრომი მათთვის ერთგვარი სტიმულიცაა, რომ მომავალში გაცილებით ვრცელი და გამდიდრებული ლექსიკონი წარმოადგინონ.

წინამდებარე ლექსიკონი იმის მოკრძალებულ მცდელობაა, რომ სისხლსორცეულად ჩაეწეროს იმ სოციალურ პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნების ფერხულში, რომლებსაც დღეს ადგილი აქვს საქართველოში. ქვეყანაში, რომელიც დიდი ხანთა ვერძული ოჯახის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის - იტალიის მიმართ მუდამ გულით ატარებდა დიდ სიუვარულსა და მეგობრობას.

თბილისი, 2004 წლის მაისი

ავტორები

INTRODUZIONE

A quattro anni dalla pubblicazione del primo volume, anche la seconda parte dell'opera è stata finalmente ultimata.

Pienamente consapevoli della lunga pausa e dell'estenuante attesa cui sono stati costretti i lettori, si è certi tuttavia di aver compiuto la scelta giusta nell'anticipare con un secondo volume, molto più esteso del primo, quella che sarà verosimilmente la seconda edizione dell'intera opera, previo comunque un ampliamento della prima parte.

Come il primo, anche il secondo volume è destinato principalmente ad un pubblico di lettori georgiani, studenti, traduttori-interpreti, operatori economici e culturali, studiosi ed insegnanti e più in generale a tutti coloro che hanno interesse ad approfondire e ad arricchire la loro conoscenza della lingua italiana.

Tra lemmi, accezioni, locuzioni, fraseologia e proverbi, il secondo volume contiene circa 70.000 voci provenienti dal mondo della storia e della letteratura, dell'arte e della musica, della scienza e della tecnica, della religione e della filosofia, della politica, dell'economia e del diritto, della gastronomia e dello sport. Frequenti anche parole ed espressioni della lingua parlata, latinismi, francesismi, anglicismi e dialettismi.

Il presente lavoro non ha affatto la pretesa di essere il punto di arrivo o il risultato finale di un'intensa attività protrattasi per una mezza dozzina d'anni; al contrario, esso intende proporsi ai lettori come un buon inizio di un viaggio avvincente, che vedrà spuntare lungo il suo itinerario opere ancora più ampie e più approfondite.

Così come ogni personaggio e produzione sono frutto della propria epoca, altrettanto si può dire di quest'opera, che va ad inserirsi pienamente nel travagliato processo di trasformazione socio-politico-culturale della Georgia, paese da sempre amico e vicino all'Italia nella mente e nel cuore, desideroso di riunirsi un giorno alla grande madre Europa.

Tbilisi, maggio 2004

Gli Autori

ლექსიკონით სარგებლობის წესები

ლექსიკონში უველა სიტყვა იტალიური ანბანის მიხედვითაა დალაგებული და ნახევრად შავი შრიფტითაა გამოყოფილი. მასში დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებად შედის არტიკლი, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, ზმნა, ზმნიზედა, კავშირი, წინდებული, შორისდებული და ნაწილაკი. ჩამოთვლილი გრამატიკული კატეგორიები ლექსიკონში შესულ სიტყვებს კურსივით აქვს მიწერილი იტალიურად. იმ სიტყვებს, რომელთაც შეიძლება მეტყველების სხვადასხვა ნაწილის ფუნქცია ჰქონდეთ, ის გრამატიკული კატეგორია აქვთ მიწერილი, რომელიც უფრო ხშირად იხმარება.

სალექსიკონო სტატიაში სათარგმნი სიტყვის მაკვირად იხმარება ტილდა (-). ტილდითაა აღნიშნული სათარგმნი სიტყვის უცვლელი ნაწილიც ვერტიკალურ სახეებამდე:

àulic|o აგვ მაღალფარდოვანი; **lingua** ~a მაღალფარდოვანი ენა; **scrittore** ~ მაღალფარდოვანი სტილის მწერალი.

ლექსიკონში შესულ უველა სიტყვას აქვს მახვილი.

მახვილები, დასურულიცა და ღიაც, რომლებიც სიტყვის დასაწივსში ან შუაშია დასმული, ემსახურება იტალიური სიტყვების ფონეტიკურად სწორად წარმოთქმას და წერისას, ჩვეულებრივ, არ გამოიყენება. მაგალითად: **intimo**, **abozzo**, **finimondo**.

სიტყვის ბოლოს დასმული მახვილი კი, როგორც წესი, ყოველთვის იწერება და გამოითქმის. იგი ასრულებს ორთოგრაფიულ ან გრამატიკულ ფუნქციას: **città**, **virtù**, **perché**, **caffè**, **andò**, **partì**, **farà** და ა.შ.

ცალკეული სიტყვის თარგმანს აზრის დასაზუსტებლად კურსივით მიწერილი აქვს მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული განმარტება. მაგალითად:

calcagno *m* ქუსლი (*ფეხის*).

cercare 1) ძებნა, მოძებნა; ჩსრეკა; მოძიება; 2) (*di fare qc*) მცდელობა (*რაიმეს გაკეთებისა*).

მრგვალ ფრჩხილებშია ჩასმული, აგრეთვე, თარგმანის ვარიანტები ან ფაკულტატური (ანუ სათარგმნად არასავალდებულო) სიტყვები:

affittare 1) გაქირავება, ქირით (იჯარით) გაცემა; 2) დაქირავება, ქირით (იჯარით) აღება.

allevamento *m* ... 2) გამოზრდა, მოყვება; ~ *di cavalli* (*equino*) მეცხენობა...
che *I* ... ~ (*cosa*) *fai?* რას აკეთებ?; ~ (*cosa*) *dice?* რას ამბობთ?

ლექსიკონში ომონიმები ცალ-ცალკეა მოცემული და რომელიც ციფრებით აღნიშნება:

bò *I m* 1) ზოოლ. ბოა; 2) ბოა, ბეწვის შარფი.

bò *II f* ზღვ. ქერქვქვლა, ტივტივა.

მეტყველების სხვადასხვა ნაწილები ნახევრადშავი წერტილდასმული არაბული ციფრებითაა გამოყოფილი, სიტყვათა სხვადასხვა მნიშვნელობები კი ფრჩხილიანი არაბული ციფრებით. მაგალითად:

condizionale 1. აგვ ჰირობითი; 2. *m* კრამ. ჰირობითი კილო.

cùpola *f* 1) გუმბათი; 2) არქიტ. კამარა.

თარგმანში სინონიმები მძიმით, ერთმანეთისაგან აზრით ცოტაოდენ განსხვავებული სიტყვები კი წერტილ-მძიმითაა დაშორებული:

bà *m* 1) ჭია, ჭიაუელა; მუსლუსო...

ფრანკოლოგიური და იდიომატიკური გამოთქმები, აგრეთვე ის ანდასები, რომელთა შესატყვისი ფორმები ქართულად არსებობს, სალექსიკონო სტატიის ბოლოს, \emptyset ნიშნის შემდეგ არის მოთავსებული:

lenzuòlo *m* ზეწარი; ... \emptyset *bianco come un* ~ მიტკალივით თეთრი; ~ *di terra* მიწის ნაგლევი.

lèpre *f* 1) ზოოლ. კურდღელი; ... \emptyset *chi due lepri caccia, l'una non piglia e l'altra lascia* ორი კურდღლის მდევარი ერთსაც ვერ დაიჭერსო.

ზმნები ლექსიკონში ინფინიტივის ფორმითაა შესული. კონტექსტში მნიშვნელობის უკეთ გასაგებად ზმნას შეიძლება მრგვალ ფრჩხილებში მიწერილი ჰქონდეს წინდებულები ან სულიერი და უსულიო ზირის განუსაზღვრელი ნაცვალსახელები **qc** ან **qd**-ს სახით. მაგალითად:

decollare აფრენა (*თვითფრინვისა*).

derivare (*da qc*) გამოსვლა, გამომდინარეობა (*რაიმედან*), სათავის აღება.

diffidare (*di qd, qc*) უნდობლობა, არ ნდობა (*ყინმესი, რაიმესი*); თავის არიდება, მორიდება.

უკუქცევითი ზმნები ზმნური სტატიის ბოლოშია მოცემული:

intégral|e შევსება; მიერთება; ~si 1) ერთმანეთის შევსება; 2) ჰელ. ინტეგრირება.

ლექსიკონში უველა არსებით სახელს მითითებული აქვს სქესი. მდებრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც პროფესიას აღნიშნავენ, და მამრობითი სქესის შესატყვისი სიტყვისაგან მხოლოდ მცირედ განიზიარებენ, მოცემულია ერთი საერთო თარგმანით მამრობითი სქესის სახელებთან ერთად. მაგალითად:

avia|tore m მფრინავი; ~trice f მფრინავი ქალი.

junior m,f ხორტ. იუნიორი.

იმ იტალიურ სიტყვებს, რომლებიც დამოუკიდებლად არ ან იშვიათად იხმარება, დასმული აქვს ორწერტილი, რომლის შემდეგაც მოცემულია ამ სიტყვის ვეულახე მეტად გავრცელებული სიტყვათმეწობა და მისი თარგმანი:

bengodi m: il paese del (di) ~ ჯადოსნური ქვეყანა, ზღაპრული სამეარო.

ზოგჯერ სათარგმნ სიტყვას ზირდაპირის მაგივრად მიწერილი აქვს მისი გადატანითი მნიშვნელობა. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვის ზირდაპირი მნიშვნელობა უფრო იშვიათად გამოიყენება. მაგალითად:

all'occo m გად.შ. ხერხეტი, შტერი, ევეხი; კრეტინი.

იმ შემთხვევაში, როდესაც სათარგმნი სიტყვა თანამედროვე იტალიურ ენაში ნაკლებად ან თითქმის არ იხმარება, მიწერილი აქვს სიტყვის უფრო გავრცელებული ვარიანტი:

làgrima იხ. lacrima.

არსებით სახელებს, სქესის მიუხედავად, შეიძლება მიწერილი ჰქონდეთ მრავლობითი რიცხვის ფორმა. ეს მაშინ, როდესაც ისინი წარმოადგენენ გამონაკლის მრავლობითი რიცხვის წარმოების საერთო წესიდან. მაგალითად:

làbbri|o m 1) (pl f -a) ტუზი, ბაგე; ... 3) (pl m -i) ნაწიბური, ზირი; ...

იტალიური ენის ზოგიერთი ფონეტიკური ასპექტი

ქართულ ენაში თანხმოვანთა სიმდიდრის გამო ქართველის სამეტყველო აზარატს თავისუფლად შეუძლია წარმოთქვას ის ბგერები და ასოები, რომლებიც იტალიურში დიგრამებისა და ტრიგრამების საშუალებით გამოიხატება.

ამიტომ ავტორებმა გვერდი აუარეს საერთაშორისო ტრანსკრიფციის გამოყენებას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საჭირო იყო იმის ახსნა, თუ როგორ იკითხება ღია და დახურული *o* და *e* ხმოვნები) და იგი ქართული ასოებით შევალეს.

ა) ღია და დახურული ხმოვნები *o* და *e*.

როდესაც *o* და *e* ხმოვნებზე არ არის მახვილი, ეს ხმოვნები დახურულია, როცა ამ ხმოვნებზე მახვილია დასმული, მაშინ ისინი ხან ღიაა, ხან კი დახურული:

è – ღია *e* (E)

é – დახურული *e*

ò – ღია *o* ()

ó – დახურული *o*.

ომონიმების შემთხვევაში მთლიანად იცვლება სიტყვის მნიშვნელობა იმის მიხედვით, ხმოვანზე მახვილი ღიაა თუ დახურული:

მაგ.: la légge კანონი

lui lègge ის კითხულობს

la bótte კასრი

le bötte დარტყმები

ბ) *c* და *g* ასოები.

ასოები *c* და *g* *e* და *i*-ს წინ იკითხება, შესაბამისად, როგორც

ci – ჩი

ce – ჩე

gi – ჯი

ge – ჯე.

უველა სხვა ხმოვნისა და თანხმოვნის წინ **c** და **g** ასოები იკითხება, როგორც **კ** და **გ** (შესაბამისად).

როდესაც **ci** და **gi** მოსდევს სხვა ხმოვნები, მაშინ ბგერა „ი“ ასრულებს მხოლოდ გრაფიკულ ფუნქციას და არ წარმოითქმის. მაგ.:

giacca – ჯაკა
giusto – ჯუსტო
gioco – ჯოკო
ciao – ჩაო
cioccolata – ჩოკოლატა
dolciumi – დოლჩუმი

ch და **gh e** და **i** ბგერების წინ უოველთვის იკითხება როგორც **კ** და **გ** შესაბამისად.

მაგ.: chiave – კიავე
poche – პოკე
laghi – ლაგი
borghesia – ბორჯესია.

კ) s და z ასოები.

ერუ **s** (ს) და **z** (ც) თანხმოვნების აღსანიშნავად, როდესაც ისინი მკლეწ და **m** თანხმოვნებად იკითხებიან, ლექსიკონში გამოყენებულია ზირობითი ტრანსკრიფციული ნიშანი **ʃ** (შ) და **ʒ** (ძ):

sala – სალა
cofacco – კოფაკო
ragazzo – რაჯაცო
manzo – მანძო

დ) ასო h

ასო-ბგერა **h** – ერუ ბგერა არ წარმოითქმის, ასრულებს ორთოგრაფიულ ფუნქციას. „h“ სიტყვის დასაწყისში აძლიერებს ხმოვანს და აქცევს მას ღია ბგერად.

მაგ.: ho – ო
hai – აი

ე) დიგრამები gl; gn; sc;

gl-ს უოველთვის თან სდევს ხმოვანი **i** და იკითხება როგორც რბილი „ლ“; თანხმოვანი „გ“ არ წარმოითქმის.

მაგ.: egli – ელი
moglie – მოლიე
cogliere – კოლიერე

როდესაც დიგრამა „gl“-ს არ მოსდევს ხმოვანი **i**, ვკითხულობთ ორივე თანხმოვანს:

globo – გლობო.

გამონაკლის შემთხვევებში „i“ ხმოვნის წინ დიგრამა „gl“ ქვერს როგორც „გლ“ და არა როგორც რბილი „ლ“:

negligenza – ნეგლიჯენცა
glicerina – გლიჯერინა

დიგრამა **gn** იკითხება როგორც რბილი, ცხვირისმიერი „ნ“, თანხმოვანი „გ“ არ წარმოითქმის. დიგრამა „gn“-სთან ხმოვანი „i“ არ იწერება, მაგრამ ამ დიგრამის ნაზალურობა განაპირობებს ნაწილობრივ „მ“ (ძველი ქართული **მ**)-ს შემცველობას:

sogno – სონგო
regno – რენგო
ognuno – ონჯუნო

ზ) დიგრამა „sc“ ხმოვნების „e“ და „i“ წინ იკითხება როგორც თანხმოვანი „შ“ და ასეთ შემთხვევაში ეს ხმოვნები წარმოითქმის:

scivolare – შივოლარე
scendere – შენდერე

ტრიგრამაში „sci“ ხმოვნების **a, o, u** წინ „i“ ხმოვანი არ წარმოითქმის:

sciopero – შიპერო
sciarpa – შარპა
asciugamano – აშუგამანო

როდესაც დიგრამა „sc“-ს მოსდევს მასვილიანი „i“, ასეთ შემთხვევაში ხმოვანი „i“ წარმოითქმის:

sciare – შიარე

როდესაც დიგრამა „sc“-ს მოსდევს თანხმოვანი „h“, ეს უკანასკნელი იკითხება, როგორც სასიმიერი „სკ“.

მაგ.: schiavo – სკიავო
scherzo – სკერცო

თ) ასო-ბგერა q(u)

ასო-ბგერა „q“-ს ეოველთვის მოსდევს ხმოვანი „u“ და ხმოვნები a, e, i, o და იკითხება, როგორც „კ“.

მაგ.: questo – კუესტო
quasi – კუასი
quindi – კუინდი
quota – კუოტა

ზოგიერთ სიტუვაში გვხვდება შემდეგი სახის კომბინაციები: cqu, qqu, რომელთა წარმოთქმისას მახვილი მოდის ამ თანხმოვანზე და საქმე გვაქვს თანხმოვნის გარემავებასთან;

მაგ.: acqua – აკკუა
nacque – ნაკკუე
soquadro – სოაკკუადრო

იტალიური ანბანი

Aa (a)	Jj * (i lunga)	Ss (èsse)
Bb (bi)	Kk *(càppa)	Tt (ti)
Cc (ci)	Ll (èlle)	Uu (u)
Dd (di)	Mm (èmme)	Vv (vu)
Ee (e)	Nn (ènne)	Ww *(vu doppia)
Ff (èffe)	Oo (o)	Xx (ics)
Gg (gi)	Pp (pi)	Yy *(ipsilon)
Hh (àcca)	Qq (cu)	Zz (zèta)
Ii (i)	Rr (èrre)	

*) ამ ნიშნით აღნიშნული ასოები გვხვდება მხოლოდ უცხოური წარმოშობის სიტყვებში.

ქართული უამოკლმბანი


ავრკად.მნ. – ავრეთვე გადატანითი მნიშვნელობითაც
 აე. – აუიაცია
 ანატ. – ანატომია
 არქ. – არქაიზმი
 არქიტ. – არქიტექტურა
 ასტრ. – ასტრონომია
 ბანქ. – ბანქო
 ბიბლ. – „ბიბლია“
 ბიოლ. – ბიოლოგია
 ბოტ. – ბოტანიკა
 ვად.მნ. – ვადატანითი მნიშვნელობა
 გეოგრ. – გეოგრაფია
 გერმ. – გერმანული ენიდან ნასესხები სიტყვები
 გრამ. – გრამატიკა
 და მისთ. – და მისთანანი
 დიპლ. – დიპლომატიური ტერმინი
 დიალექტ. – დიალექტი
 ეკლ. – ეკლესია
 ეკლინგ. – ეკლინგით
 ეკონ. – ეკონომიკა
 ელ. – ელექტროტექნიკა
 ზეპირ. – ზეპირმეტყველება
 ზოოლ. – ზოოლოგია
 ზღაპ. – ზღაპრული პერსონაჟი
 თეატრ. – თეატრმცოდნეობა, თეატრი
 ირონ. – ირონიული გამოხატვაში
 ინგლ. – ინგლისურიდან ნასესხები სიტყვა
 ისტ. – ისტორია
 იურ. – იურიდიული ტერმინი
 იხ. – იხილეთ
 კინო – კინემატოგრაფია
 კნ. – კინობითი ფორმა
 კულ. – კულინარია
 კუთხ. – კუთხური გამოთქმა
 ლათ. – ლათინური ენიდან ნასესხები სიტყვები
 ლინგვ. – ლინგვისტიკა
 ლიტ. – ლიტერატურა
 მათ. – მათემატიკა.
 მამრ. – მამრ.სქესი
 მღვდრ. – მღვდრ.სქესი

მით. – მითოლოგია
 მედ. – მედიცინა
 მინ. – მინერალოგია
 მრ.რ. – მრავლობითი რიცხვი
 მუს. – მუსიკა
 მუნ. – სამშენებლო ტერმინი
 მხატვ. – მხატვრობა
 ნაირვ. მნიშვ. – ნაირვარი მნიშვნელობა
 პოლ. – პოლიტიკური ტერმინი
 რადიო – რადიოტექნიკა
 რელ. – რელიგია
 რკ.უ.ზ. – რკინიგზა
 ზღვ. – საზღვაო საქმე, საზღვაო ტერმინი
 სამხ. – სამხედრო საქმე, სამხედრო ტერმინი
 სამშ. – სამშენებლო ტერმინი
 სანტ. – სანტექნიკა
 საუბრ. – სასაუბრო ტერმინი
 სოფლ.მეურ. – სოფლის მეურნეობა
 სპორტ. – სპორტული ტერმინი
 ტელ. – ტელევიზია
 ტექნ. – ტექნიკური ტერმინი
 ტიპ. – ტიპოგრაფიული ტერმინი
 უხ. – უხეში გამოთქმა
 უპირ. – უპირო გამოთქმა
 ფამ. – ფამილარული ნათქვამი
 ფერწ. – ფერწერა
 ფიგ. – ფიგურალური, სატრავანი გამოთქმა
 ფიზ. – ფიზიკა
 ფიზიოლ. – ფიზიოლოგია
 ფილოს. – ფილოსოფია
 ფინ. – ფინანსები
 ფორტო – ფორტოგრაფია
 ფრ. – ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვები.
 ქიმ. – ქიმია.
 მეძ. – მეძახილი
 მორ. – მორიდებული
 ჭადრ. – საქადრავო ტერმინი
 ხუმრ. – ხუმრობით ნათქვამი
 ხელ. – ხელოვნება
 ვულგ. – ვულგარული გამოთქმა
 საფ. – საფეიქრო მრეწველობა
 ქარვ. – ქარგონი

იტალიური უპროკლუბანო

- agg - aggettivo - ზედსართავი სახელი
- agg.dim. - ჩვენებითი ზედსართავი სახელი
- art.det. - განსაზღვრული არტიკლი
- art.ind. - განუსაზღვრელი არტიკლი
- agg.poss. - კუთვნილებითი ზედსართავი სახელი
- art - არტიკლი
- avv - avverbio - ზმნიზედა
- cong. - congiunzione - კავშირი
- escl. - esclamazione - წამოძახილი, შეძახილი
- inter. - interiezione - შორისდებულები
- f - femminile - მდედრობითი სქესი
- m - maschile - მამრობითი სქესი
- pl - plurale - მრავლობითი რიცხვი
- prep - preposizione - წინდებულები

- qd - qualcuno - ვინმე
- qc - qualcosa - რამე, რამე
- num ord. - რიგობითი რიცხვითი სახელი
- num. card. - რაოდენობითი რიცხვითი სახელი
- num. - რიცხვითი სახელი
- pron. f - ჩაცვალსახელი
- pron. dim. - ჩვენებითი ნაცვალსახელი
- pron. pers. - ზირის ნაცვალსახელი
- pron. rifl. - უკუქცევითი ნაცვალსახელი
- pron. poss. - კუთვნილებითი ნაცვალსახელი
- pron. rel. - მიმართებითი ნაცვალსახელი
- pron. interr. - კითხვითი ნაცვალსახელი
- pron. indef. - განუსაზღვრელი ნაცვალსახელი
- part.pleon. - ზღუონანსტრუური ნაწილაკი
- sing. - მხოლოდობითი რიცხვი



M m

ma 1. *cong.* მაგრამ; თუმცა, თუმცა; è un libro difficile, ~ interessante ეს წიგნი რთულია, მაგრამ საინტერესო; gli ho scritto più volte, ~ non mi ha mai risposto რამოდენიმეჯერ მივწერე, მაგრამ არასოდეს უპასუხია; 2) მეტიც, უფრო მეტიც; questa torta non è solo buona, ~ eccellente ეს ტორტი მხოლოდ კარგი კი არაა, მეტიც - ბრწყინვალეა; 3) მოდი (*ფრაზის დასაწყისში*); ~ parliamo d'altro! მოდი, სხვა რამეს ვილაპარაკოთ!; 4) კი, მაგრამ; ~ insomma, quante volte te lo devo ripetere! კი, მაგრამ, რამდენჯერ უნდა გავიმეოროთ!; 5) აბა; ოჰ; ~ che bella giornata! ოჰ, რა ლამაზი დღეა! ~ che dici? აბა, რას ამბობ?; 6) ნუთუ; ~ è vero?! ნუთუ მართალია?!; 7) სწორედ რომ; ~ no, non lo farò mai! სწორედაც რომ არა, ამას არასოდეს გავაკეთებ!; 2. *m* მაგრამ; გომანი, ჭოკმანი; sbrigati, senza tanti ~ ! ამდენი მაგრამის გარეშე იმოქმედე; se devi partire subito, non c'è ~ che tenga! თუ ახლავე უნდა გაემგზავრო, ხელს არაფერი გიშლის, არაფერი გააკავებს; თუ დაუყოვნებლივ აპირებ წასვლას, არაფერია საუკომანო; 3. *inter* 1) ოჰ; აბა; è uscito? ~, che ne so! გავიდა? ოჰ, რა ვიცი; 2) ეჰ; ~, purtroppo non c'è niente da fare! ეჰ, სამწუხაროდ ვერაფერს იზამ!

màcabr||o agg შემსარავი, სასარელი, შემამრწუნებელი, საშინელი; spettacolo ~ სასარელი სანახაობა; **◇ danza ~a** სიკვდილის ცეკვა.
macàco m 1) ზოოლ. მაკაკა; 2) *გად. მწ.* სულელი, შტერი, ექვქი; დოულანია.
macché! inter რას ბრძანებთ!, სრულიადაც არა!, ნუთუ მართლა?, არც კი იფიქროთ!; ~, non è vero! რას ამბობ(თ), ტყუილია!
maccheronàta f ფაშ. 1) მეგობრების მაკარონზე დამატეება; fare una ~ მაკარონის გამზადება და ჭამა; 2) დიდი სისულელი; უხეში შეცდომა, დიდი შეცდომა.
maccheróne m 1) *pl* მაკარონი; 2) *გად. მწ.* სულელი, ტუტუცი, ჩერხეტი.
maccherònico agg 1) *ლიტ.* მაკარონიკული (*სტილი, პოეზია*); 2) *გად. მწ.* დამახინჯებული (*ენა, მეტყველება*).
màcchia I f 1) ლაქა; წინწყალი; 2) *გად.მწ.* ლაქა; სირცხვილი; სახელის გატეხა; ~ indelebile ჩამოურევსავი ლაქა; senza ~ უმწიკვლო, შეუბღალავი.
màcchia II f 1) სმირი ტყე; ბუჩქნარი; ტყერი; 2) ჰარტიხანული რანსმი (*ტყეში*); darsi alla ~ ა) ჰარტიხანად გასვლა; ბ) ფირალად გავარდნა; მართლმსაჯულებისგან დამალვა; გ) მიმალვა; დაკარგვა, გადაკარგვა.

macchiàr||e 1) თხუნა, გათხუნა, გასვრა, დასვრა, გათითხნა, თითხნა; 2) *გად. მნ.* ჩირქის მოცხება, სახელის გატეხა, შერცხვენა, თავის მოჭრა; წაბილწვა, შებღალვა, შეგინება; 3) მსუბუქად, ოდნავ შენელება (*კერძობა*); ~ **il caffè** ეავაში ცოტაოდენი რძის დამატება; ~ **si** 1) თხუნა, გასვრა, თითხნა, თხუნვა, გაჭუჭყიანება; 2) *გად. მნ.* თავის შერცხვენა, ჩირქის მოცხება; ~ **si di una colpa** დანაშაულის ჩადენით თავის შერცხვენა.

macchiato *agg* 1) ლაქიანი, ლაქებიანი; წინწყლებიანი; 2) *გად. მნ.* ჩირქმოცხებული, შებღალული, შერცხვენილი; ◊ **caffè** ~ რძიანი ეავა.

macchiétta *f* 1) კარიკატურა; მონახაზი (*ფერწერაში*); 2) *გად. მნ.* უცნაური ტიპი; ექსტრავაგანტული ზიროვნება.

macchina *f* 1) მანქანა; აპარატი; ~ **da scrivere** საწერი მანქანა; ~ **da presa** კინოაპარატი; ~ **da cucire** საკერავი მანქანა; 2) მანქანა, ავტომანქანა, ავტომობილი.

macchinale *agg* მანქანაღორი, ანგარიშშიუცემელი, მექანიკური, უნებელი.

macchinario *m* სამანქანო მოწყობილობა.

macchinétta *f*: ~ **da caffè** ეავის მადღარა; ◊ **parlare come una** ~ გაუჩერებლად ლაპარაკი, ლაქლაქი.

macchinista *m* მემანქანე.

macchinóso *agg* როული; მძიმე; მხელად გასაგები; **progetto** ~ როული პროექტი; **linguaggio** ~ გაწეული ლაპარაკი.

macedonia *f* *კულ.* „მახედონია“, ხილის ასორტი (*ლიმონის წვენით ან ლიქორით და მაქროთ*).

macellàio *m* ესაბი (*ავრ. გად. მნ.*).

macellàre 1) საქონლის დაკვლა; 2) *გად. მნ.* დანგრევა, მოსპობა, განადგურება.

macelleria *f* ხორცის მაღაზია.

macello *m* 1) სასაკლაო (*ავრ. გად. მნ.*); 2) *გად. მნ.* ხედასორა, უწყსრიგობა, არეულობა; **fare un ~** არეულობის მოწყობა; **ieri c'era un ~ di gente** გუშინ ხალხის ხედასორა იყო; ◊ **carne da ~** სახარბაზნე ხორცი.

maceràr||e დასველება, დაღობა; ~ **si** წვალება, წამება, ტანჯვა; ~ **si dal dolore** დარდისაგან ტანჯვა.

macèrie *f pl* ნანგრევები.

macero *m*: **carta da ~** მკაულატურა.

macigno *m* ლორი; ◊ **duro come un ~** ა) შეუდრეკელი, უდრეკი ზიროვნება; ბ) ჯიუტი, ხისტავა ზიროვნება.

macina *f* 1) დოლაბი, წისქვილის ქვა; 2) საფუკავი.

macinàre ფუკა, დაფუკა; ფხვნა, დაფხვნა; ნაუვა, დანაუვა; ~ **il caffè** ეავის დაფუკა; ◊ ~ **tanta strada** შეუსვენებლად დიდი მანძილის გავლა; **acqua passata non macina più** დიდი

ხნის ჩავლილი ამბავი დღევანდელზე არ მოქმედებს; რაც იყო, იყო; ეველაფერი წარსულს ჩაბარდა.

macinàt||o *agg*: **carne ~a** გატარებული ხორცი; **caffè** ~ დაფუკული ეავა.

macinino *m* 1) ეავის საფუკავი; 2) *გად. მნ.* „დრანდულეტი“, მკელი, მონჯდრეული მანქანა.

macroscòpico *agg* 1) მაკროსკოპული; დიდი; **un errore** ~ დიდი შეცდომა; 2) აშკარა, ცხადი.

maculato *agg* წინწყლებიანი, საღებებიანი (*ცხოველების ბეჭეტი*).

madàma *f* 1) ქალბატონი; 2) *ხუმრ.* ქალბატონი, დამა, მანდილოსანი.

madònn||a *f* მადონა, ღვთისმშობელი; ~ **mial** დმერთო ჩემო!; ~, **che paura!** დმერთო, როგორ მემინია!; ◊ **avere una fifa della ~** ძალზე შემინება, დაფრთხობა; **avere una fretta della ~** ძალზე აჩქარება; **avere le ~e** *ხუმრ.* უგუნებობა; გაბრაზება.

madornàle *agg* უხარმახარი, ძალიან დიდი; **errore** ~ ძალზე უხეში შეცდომა.

madre *f* დედა, მშობელი; **ragazza** ~ მარტოსელა დედა; **lingua** ~ დედა-ენა.

madre lingua *f*, **madrelingua** *f* დედა-ენა, მშობლიური ენა.

madre patria *f*, **madrepatria** *f* სამშობლო, დედა-სამშობლო.

madrepèria 1. *f* სადაფი; 2. *agg* სადაფისფერი.

madrina *f* ნათლიდედა.

maestà *f* 1) სიდიადე, დიდებულება; 2) უდიდებულესობა (*ტიტული*); **Sua Maestà!** თქვენო უდიდებულესობა!

maestoso *agg* დიდებული, დიადი.

maestra *f* მასწავლებელი; ~ **elementare** დაწვებითი სკოლის მასწავლებელი.

maestràle *m* *გეოგრ.* მისტრალი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი.

maestrànze *f pl* ქარხნის კოლექტივი.

maestria *f* ოსტატობა, ხელობა; ნიჭი, უნარი, მოხერხება.

maestr||o 1. *m* 1) ოსტატი; მცოდნე; სპეციალისტი; 2) მასწავლებელი (*ხელობა*); **fare il ~** მასწავლებლობა; 3) დამრიგებელი, მოძღვარი; ხელმძღვანელი; 4) *მუს.* მაესტრო; კომპოზიტორი; 5) ოსტატი; ხელოსანი; 2. *agg* 1) მთავარი, ძირითადი; **strada ~a** მაესტრალი; 2) ოსტატური; **colpo** ~ ოსტატური დარტყმა.

mafia *f* მაფია.

mafioso 1. *m* მაფიის წევრი, მაფიოსი; 2. *agg* მაფიოსური.

màga *f* 1) ჯადოქარი, ფერია; 2) *გად. მნ.* საქმის კარგად მცოდნე, ჯადოქარი.

magàgn||a *f* 1) ნაკლი, დეფექტი (*ფიზიკური*); 2) ზადი, ნაკლი, წუხი; 3) *ფაშ.* უბედურება, გაჭირვება; უსიამაღელობა.

მოუნება; \diamond ognuno ha le proprie ~ e უველას თავისი საწუხარი აქვს.

magari 1. inter. ~! კარგი იქნებოდას, ღმერთმა ქნას!; **2. avv.** 1) შესაძლოა, შეიძლება, მგონი, მართლაც, ალბათ, თითქოს მართლაც; 2) თუნდაც, მართლაც რომ, რომც.

magacyinière m საწუხობის გამკვე; მკეკუწნავე.

magacyin||o m საწუხობი; **i grandi** ~i უნივერსალი.

maggio m მაისი.

maggiolino m 1) ზოლო. მაისის სოჭო, მაისის ღრავა; **2)** ფაშ. სოჭო („ფოლკსვაგენის“ ერთ-ერთი მოდიფიკაცია).

maggiòranza f უმრავლესობა, უმეტესობა; ~ semplice უბრალო უმრავლესობა; ~ assoluta აბსოლუტური უმრავლესობა; ~ schiacciante დიდი უმრავლესობა; **in** ~ მეტწილად, უმეტესად.

maggiordomo m 1) მავორდომი, მსახურთუფროსი; **2)** ზღვ. სტიუარდი, მებუფეტე.

maggiore 1. agg 1) უდიდესი, უფრო დიდი; **2)** უფროსი; fratello ~ უფროსი ძმა; **3)** უფროსი, მთავარი; stato ~ სამხ. მთავარი შტაბი; **4)** მუხ. მაკორული; **2. m 1)** სამხ. მაიორი; **2)** მუხ. მაკორი; **3)** უფროსი, მეთაური; \diamond andar per la ~ ა) დიდი წარმატების, მოწონების ქონა, დამსახურება; ბ) მოღაბი ვოფნა; **la** ~ età სრულწლოვანება; **forza** ~ ფორს-მაკორი.

maggiorenne agg, m, f სრულწლოვანი.

maggioritàrio agg მაკორიტარული; sistema elettorale ~ მაკორიტარული საარჩევნო სისტემა.

magia f 1) მაგია, ჯადოქრობა; **2)** სიბღი, მომხიბვლელობა, მომხიბლავი ძალა, მომაჯადოებლობა; **la** ~ della musica მუსიკის მომხიბლავი ძალა, მუსიკის მაგია.

magic||o agg მაგიური, ჯადოსნური, მომხიბლავი, მომაჯადოებელი; \diamond lanterna ~ a ჯადოსნური ღამხარი.

magistèro m: facoltà di ~ ზედაგოგიური ფაკულტეტი.

magistràle agg 1) ოსტატური, დახელოვნებული; lavoro ~ ოსტატური ნამუშევარი; **2)** სამასწავლებლო; istituto (scuola) ~ ზედაგოგიური სასწავლებელი.

magistrato m 1) სასამართლოს მუშაკი, სასამართლო უწყების ჩინოვნიკი; **2)** მოსამართლე; **3)** მაგისტრტი.

magistratùra f 1) მაგისტრატურა; სასამართლო სისტემა; **2)** სასამართლო სისტემის თანამდებობის ზირები.

màglia f 1) თვალი (ნაქსოვი); lavorare a ~, fare la ~ ქსოვა (ხხირებით, ვაინხადით); lavoro a ~ ნაქსოვი; **2)** სვიტერი, ჯემპრი; ფუფაიკა; მაისური; **3)** ხორტ. მაისური.

maglieria f 1) ტრიკოტაჟი,

ტრიკოტაჟის ნაწარმი; **2)** ტრიკოტაჟის მაღასია.

maglietta f მაისურა, ტენისურა.

maglificio m ტრიკოტაჟის ფაბრიკა.

maglione m (სქელი ნაქსოვი) სვიტერი.

magnaccia m 1) ფაშ. კუთხ. სუტენიორი; **2)** „დაფონსი“, ქალის ხარჯზე მცხოვრები ჰიროვნება.

magnànimo agg სულგრძელი, დიდსულოვანი, კეთილშობილი, კეთილშობილური.

magnate m მაგნატი; ~ dell'industria petrolifera ნავთობის მაგნატი; ~ della finanza ფინანსური მაგნატი.

magnèsia f ქიმ. მაგნესია.

magnète m მაგნეტი.

magnético agg ფიზ. მაგნიტური; ago ~ მაგნიტური ისარი.

magnetòfono m მაგნიტოფონი.

magnifico agg საუცხოო, ჩინებული, მდიდრული, დიდებული, შესანიშნავი; è ~ შესანიშნავია; \diamond il Magnifico Rettore უნივერსიტეტის რექტორი.

mag||o agg 1) დიდი, დიადი; Alessandro Magno ალექსანდრე დიდი; **2)** სასვიმო, სადღესასწაულო; aula ~ a სააქტო დარბაზი;

magnòlia f ბოტ. მაგნოლია.

màgo m მაგი, ჯადოქარი (ავრ. ვად.ძნ.).

magóne m ფაშ. უსიამოვნება; avere il ~ უსიამოვნების ქონა.

màgra f 1) წყალმარნხოობა; **2)** ვად.ძნ. შიმშილობა, არაფრის ქონა; periodo di ~ შიმშილობის პერიოდი; \diamond fare una ~ ცუდი შთაბეჭდილების მოხდენა.

magr||o 1. agg 1) გამხდარი, გალუელი, გაძვალტუვებული; **2)** სამარხოო, მარხოისა; მჭლე; cibi ~i, ა) სამარხოო საკვები; ბ) უცნიმო საკვები; **3)** მწირი, უნაყოფო (ნიადავი); **4)** ღარიბული, მწირი, არასაკმაო, უმნიშვნელო, სცოდავი, უბადრუკი, მცირედი, მიზერული; guadagno ~ უმნიშვნელო გასამრჯელო; consolazione ~ a მცირედი ნუკეში; **2. m** მჭლე სორცი.

mài avv 1) როდისმე, ოდესმე; più che ~ მეტად, ვიდრე ოდესმე; peggio che ~ უარესად არ შეიძლება; meglio che ~ უკეთესად არ შეიძლება; **2)** არასოდეს, არასდროს, ვერასოდეს, არავითარ შემთხვევაში; non l'ho ~ visto მე იგი არასოდეს მინახავს; quanto ~ როგორც არასდროს; **3)** კი მაგრამ; -და; რაღა; come ~? ეს როგორ?, კი მაგრამ, როგორ?, ეს როგორღა?; quando ~? კი მაგრამ, როდის?, ეს როდისღა?; \diamond se (caso) ~ თუ, თუკი, იმ შემთხვევაში; se ~ non viene თუკი არ მოვა, იმ შემთხვევაში, თუ არ მოვა; non si sa ~ არავინ იცის, არავინ უწვის; meglio tardi che ~ ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს; il giorno del ~ როცა ვირი ხესე ავა.

maiàle m ღორი (ავრ. ვად. მნ.)
maialésco agg 1) ღორისა; 2)
ფაშ. ღორული.

maialino m გოჭი.

maiòlica f მაიოლიკა, გამომწვა-
რი თისა.

maionése f მაიონესი.

mais m სიმინდი.

maiùscola f მთავრული ასო.

maiùscol||o agg დიდი; კარგი,
სუცხო; lettera ~a მთავრული ასო;
partita ~a ხორტ. კარგი თამაში, სა-
უცხო მატჩი.

màla f ყარვ malavita (შემოკლე-
ბული ფორმა).

malaféde f არაკეთილსინდისიერ-
ება, მოტყუება; fare qc in ~ არა-
კეთილსინდისიერად რისამე გაკე-
თება.

màla lingua f, malalingua (pl
malelingue) *f* 1) ცილისმწამებელი;
2) უიამურალი, ენაბილწი.

malandàto agg ცუდ მდგომა-
რეობაში მყოფი; essere ~ in salute
სუსტად ეოფნა, არაჯანსაღად ეოფ-
ნა; un mobile ~ გაფუჭებული, შე-
ღასული ავეჯი.

malandrino 1. agg 1) უზა-
ტიოსნო, არაზატიოსანი; 2) ხუმრ.
მაცდუნებელი, ეშმაკური (შხერა); 2.
m 1) ბანდიტი, უჩაღი; 2) ცელქი,
ონაზარი ბავშვი, „უჩაღი“.

malànno m 1) უბედურება, ფათე-
რაკი, ხიფათი, განსაცდელი, გაჭი-
რება; 2) სენი, სნეულება, ავად-

ყოფობა; 3) ვად. მნ. თავის მომა-
ბეხრებელი, აბეხარი ზიროვნება,
„კომპარი“.

malapéna f: a ~ avv ძლივს,
ძლივსძლივობით, გაჭირვებით.

malària f მედ. მალარია.

malaticcio agg ავადმყოფური,
არაჯანსაღი, სუსტი, უძლური,
ულონო.

malàt||o 1. agg ავადმყოფი, არა-
ჯანსაღი; დაავადებული; essere ~ ავად
ეოფნა; fantasia ~a ავადმყოფური
წარმოსახვა; 2. *m* ავადმყოფი, სნეული;
~ di cuore გულით ავადმყოფი.

malattia f დაავადება, ავადმყო-
ფობა, სენი, სნეულება; ~ incurabi-
le უკურნებელი, მოურჩენელი სენი;
i sintomi della ~ დაავადების სიმ-
პტომები; per ~ ჯანმრთელობის
მდგომარეობის გამო, ავადმყოფობის
გამო; sono stato assente dal lavoro
dieci giorni per ~ ათი დღე არ დაე-
დიორი სამსახურში ავადმყოფობის
გამო; farsi una ~ per qc რაიმეს
გამო მალსე შეწუხება, რისამე
ავადმყოფურად განცდა.

malaugùrio m ცუდის მომას-
წავებელი ნიშანი, ცუდი ნიშანი; fare
il ~ a qd ვინმესთვის ცუდის სურვე-
ბა; uccello del ~ უბედურების მალსე-
ვებული, მომასწავებელი.

malavita f 1) დამნაშავეთა სამ-
ეარო, „შავი“ სამეარო; სისხლის
სამართლის დამნაშავეები; 2) საზო-
გადროების ნამირალები.

malavòglia f უსაღისობა, სი-
სარმაცე; di ~ უსაღისოდ.

malcòncio agg 1) საცოდავი, სა-
ბრალო, საწუალი, საეალალო; 2)
ნაცემი, ნაბეგვი, გაღასული.

malcontènto 1. agg დაუკმაყო-
ფილებელი, უკმაყოფილო; 2. *m* 1)
უკმაყოფილება, გულნაკლულობა;
2) უკმაყოფილო, გულნაკლული
ზიროვნება.

malcostùme m 1) მანეჩევევა; 2)
უსნეობა, ზნედაცემულობა, თავგა-
სულობა, თავაშეუბულობა, თავაწ-
ვევტილობა; აღვირახსნილობა,
გარუვნილება.

maldèstro agg 1) მოუსერხე-
ბელი, უგერგილო, უხეირო; 2) მი-
ამიტი, გულუბრევილო, უეშმაკო.

maldicènte 1. agg ძვირის მოქმე-
ლი, ავად მსხენებელი, ენამურალი;
2. *m, f* ავეია, ავენიანი, ენამურალი,
ცილისმწამებელი.

maldicènta f ავენიანობა, ავეი-
ობა, ძვირის თქმა, ავად სხენება,
ძრახვა, კილვა.

maldispòsto agg არაკეთილ-
განწყობილი, ცუდად განწყობილი,
ცუდ დამოკიდებულებაში მყოფი.

màle 1. avv 1) ცუდად; bene o ~
ავად თუ კარგად, ასე თუ ისე; dire
(parlare) ~ di qd ვინმესე აუგის
თქმა, ცუდად ლაპარაკი; restare (ri-
manere) ~ მურადაცხოვნილად, იმედ-
გაუცრუებლად, უკმაყოფილოდ დარ-
ჩენა; la salsa è riuscita ~ სოუსი

ცუდი გამოვიდა; l'esame è andato ~
გამოცდამ ცუდად ჩაიარა; la cosa si
mette ~ საქმე ცუდად მიდის; sentirsi
~ თავის ცუდად გრძნობა; vestire ~
ცუდად, უკმაყოფილოდ ჩაცმა; questo
vestito ti sta ~ ეს ტანსაცმელი არ
გიხდება; non sarebbe ~ ურიგო არ
იქნებოდა; rispondere ~ უხედავ ზა-
სუხი; 2) ცუდი (ზედხართავის როლ-
ში); quel film non è ~ ეს ფილმი
ურიგო არაა; 2. *m* 1) ცუდი რამ; უბე-
დურება; il ~ è che... უბედურება ის
არის, რომ...; che ~ c'è se va con
quella ragazza? რა არის ცუდი იმა-
ში, იმ ვაკონასთან თუ დიდის?; non
c'è nulla di ~ ამში ცუდი არაფერ-
ია; non sarà ~ dirglielo ცუდი არ
იქნებოდა მისთვის ამის თქმა; il suo
arrivo è stato un ~ per il fratello
მისი ჩამოსვლა მისთვის უბედურება
იყო; hai fatto ~ a parlare di questa
cosa ცუდი ჰქენი, ამასე რომ ილაპა-
რაკე; 2) ზიანი, ზარალი, ვნება;
ბოროტება, სიავე; aversela a ~ per
qc რაიმესე გაბრაზება, რაიმეს წეე-
ნა; far del ~ a qd ვინმესთვის ზია-
ნის, ზარალის მიყენება, ვინმეს ვნე-
ბა; 3) ტკივილი, სატკივარი; ავად-
მყოფობა; ~ di denti კბილის ტკი-
ვილი; ~ di mare ზღვის ავადმყოფო-
ბა; ~ di testa, ~ di capo თავის ტკი-
ვილი; ho mal di capo, mi fa ~ la
testa თავი მტკივა; 3. *inter.:* non ave-
te studiato? ~! არ ისწავლეთ? ძალი-
ან ცუდი!; ◊ andare a ~ გაფუჭება

(საკეობისა); di ~ in peggio უარესად და უარესად; meno ~! კიდევ კარგი; mica ~ quella macchina! ეს მანქანა სულაც არაა ცუდი; come stai? Non c'è ~ როგორ ხარ? არა მიშავს; non tutto il ~ vien per nuocere ზოგი ჭირი მარკებელიაო.

maledétt||o 1. agg დაწვევით, წვეული, შეხვედრით; საძულველი, საშინელი, აუტანელი; *საშ. საშინელი, ჯოჯოხეთური*; ~ il giorno in cui l'ho conosciuto! წვეულიმც იუოს ის დღე, როცა ის გავიცანის; ho una fame ~a საშინლად მშია; **2. m** წვეული; ~, me la pagherai! შე წვეული, განღვევიანებ!

maledire დაწვევა, შეხვედრა.

maledizióne 1. f 1) წვევა, კრულვა, შეხვედრა; 2) უბედურება; questa tempesta è una vera ~ ეს ქარიშხალი ნამდვილი უბედურებაა; **2.:** ~! ეშმაკმა დაღახვროს!, ჯანდაბა!

maleducàto agg უსრდელი, ბრიყვი; უხეში, გაუთლელი, ხეპრე.

maleducazióne f უსრდელობა; უხეშობა, უკმეხობა.

malèfic||o agg დამღუპველი, მავნე, ბოროტი; persona ~a ბოროტი ადამიანი.

malèrba f სარეველა, სარეველა ბალახი; O la ~ non muore mai სარეველას ვერასოდეს ამოძირკვავ; ბოროტი ადამიანები დიდხანს ცხოვრობენ.

malése 1. agg 1) მალაიური, მა-

ლაიისა; 2) მალაიზიური, მალაიზიისა; **2. m, f 1)** მალაიელი; 2) მალაიზიელი.

malèssere m უქეიფობა, შეუძლოდ ეოფნა, ცუდი გუნება-განწყობილება.

malfamàto agg ცუდი სახელის მქონე; დაწვევით, შეხვედრით; un quartiere ~ ცუდი უბანი.

malfat||tóre m, ~trice f ბოროტ-მოქმედი, ბოროტგანზრახველი.

malfér||o agg 1) არამყარი, არამდგრადი, მერუევი; sedia ~a მორეული სკამი; salute ~a მერეული ჯანმრთელობა; 2) სუსტი, უღონო, ავადმოუფი; mente ~a ავადმოუფი გონება.

malfidàto agg ურწმუნო, უნდობელი, ეჭვიანი, ეჭვნიერი.

malfido agg 1) არასანდო, არასაიმედო; 2) სასიფათო, საშიში; un quartiere ~ საშიში უბანი, კვარტალი.

malformazióne f მედ. ფიზიკური სიმახინჯე.

malga f სასაფსულო ბაკი, ქარაბაკი (*ალაბუმი*).

malgàro m მწვემის (*ალაბურ საძოვრებსე*).

malgàscio 1. agg მალაგასიური, მალაგასკარული; **2. m** მალაგასიელი, მალაგასკარელი.

mal govèrno, malgovèrno m ცუდი მმართველობა; ცუდი ხელმძღვანელობა, მმართველობის სისუსტე, ნაკლი.

malgradìto agg უსიამოვნო, არასასიამოვნო, არასასურველი.

malgràdo 1. avv წინააღმდეგ; მიუხედავად; ~ tutto ეველაფრის მიუხედავად; **2.:** ~ che, *cong.* თუმცა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ; ~ lo avessi avvertito, non mi ha dato ascolto მიუხედავად იმისა, რომ გავაფრთხილე, არ დამიჯერა; **3. prep** წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა; è uscito ~ la pioggia წვიმის მიუხედავად მანც გავიდა.

malgùsto m 1) ცუდი გემოვნება; 2) ცუდი, უსიამოვნო გემო.

malia f 1) ჯადოქრობა, ჯადოსნობა; 2) *გად. მხ.* სიბღი, მომსიბღლელობა.

maliàrdo agg ჯადოქრული, ჯადოსნური; მომადჯადოებელი; sorriso ~ მომადჯადოებელი ღიმილი.

malignàre დვარმლიანობა, ნიშნის მოგება, ძვირის თქმა; გესლიანად დაცინვა; ~ su qc, qd რაიმეს, ვინმეს ცუდად ხსენება, აუკად ხსენება.

malignità f დვარმლიანობა, ნიშნის მოგება, ბოროტგანზრახულობა.

maligno 1. agg 1) დვარმლიანი, გულდვარმლიანი, ნიშნის მომგები; 2) გესლიანი, იქედნური, მსაკვრული; 3) *მედ.* ავთვისებიანი; **2. m** il Maligno ეშმაკი, სატანა.

malinconia f მელანქოლია, ნაღველი, სევდა, კაჟმანი, დარდი; lasciarsi prendere dalla ~ მელან-

ქოლიაში ხავარდნა, სევდას მიცემა.

malincònico agg მელანქოლიური, ნაღველიანი, სევდიანი, მწუნარე.

malincuòre: avv a ~ უხალისოდ, გულის კანკალით.

malintenzionàto 1. agg ბოროტგანზრახული, ბოროტად განზრახული; **2. m** ბოროტგანზრახველი.

malintésio m გაუგებრობა.

malizia f 1) ეშმაკობა, ქვეშევრულობა, ცბიერება, მსაკვრობა; 2) (*პროფესიული*) მოხერხება, სიმარჯვე, ნიჭი.

malizióso agg 1) ეშმაკი, გაქნილი, ქვეშევრუ, ცბიერი, მსაკვარი; 2) ბოროტი, ბოროტგანზრახული.

malleàbile agg 1) *ტექნ.* ჭედადი; 2) *გად. მხ.* დამოლდი, რბილი, დამთმობი, დამჯერი.

malleòlo m *ანატ.* კოჭი.

malleval||dóre m, ~drice f თავდები.

mallòppo m 1) შეკვრა, ფუთა, ბოხსა, შეკრული რამ, შეხვეული რამ; 2) *ქარგ.* ნაქურდალი; მოწარული ნივთები; 3) *გად. მხ.* წუხილი, დარდი; mi sono tolto un bel ~ dallo stomaco დიდი ღორი მოვიშორე გულიდან.

malmenàre 1) ცუდად მოწრობა, მოქცევა; ცემა, გაღახვა; l'hanno malmenato e derubato სცემეს და გაძარცვეს; 2) დაუდევრად მოწრობა; ha la cattiva abitudine di ~ i suoi strumenti თავის ინსტრუმენტებთან დაუდევრად მოწრობის ცუდი ჩვევა

აქვს; ~ la chitarra გიტარასზე ცუდად დაკვრა.

malméso *agg* 1) ცუდად გაწეობილი, უკემოვნოდ მოწეობილი (*ბინა, სახლი*); 2) ცუდად მოოფი (*ეკონომიურად; ჯანმრთელობის მხრივ*); 3) ცუდად ჩაცმული, უკემოვნოდ ჩაცმული.

malnutrito *agg* ცუდად რომ იკვებება, არასაკმარისად რომ იკვებება.

malnutrizione *f* ცუდი, არასაკმაო კვება; კვების ნაკლებობა.

mal||o *agg*: ~a lingua აუვია; ჭორიკანა, ცილისმწამებელი; ~a sorte უბედური ბედი; in ~ modo ცუდად, გაჭირვებით.

malòchio *m* ცუდი თვალი; gettare il ~ su qd ვისიმე გათვალვას; guardare di ~ qd ვინმეს ცუდად ცქერა, აღმაცერად უურება.

malóra *f* დაღუპვა; andare in ~ დაღუპვა, განადგურება, კრახი; va' in ~! ჯანდაბამდე გ'სა გკონია!, ჯანდაბამი წადი!; fa un freddo della ~ სიცივე ძვალ-რიბილში ატანს.

malóre *m* ავადმოყოფობა, სენი; მოულოდნელი უქეიფობა, შეუძლოდ ეოფნა; è stato colto da un ~ ცუდად შეიქნა.

mal pensànte, malpensànte *agg, m, f* 1) არაკეთილსაიმედო, არასაიმედო; არასანდო; 2) განსხვავებულად მოაზროვნე, სხვებსზე ცუდად რომ ფიქრობს.

malridóto *agg* ცუდ მდგომარე-

ობაში მოოფი, ცუდად მოოფი, ცუდი; სავალალო, საცოდავი.

malriuscito *agg* წარუმატებელი, უხეირო, ფუჭი, ამაო; un progetto ~ განუხორციელებელი გეგმა.

malsàno *agg* მავნე, მანწინარი, მავნებელი, არაჯანსაღი (*ჭავა, ვარემო*).

malsicùro *agg* 1) არამტკიცე, არაგამძლე, არამუარი, არასანდო, არასაიმედო; 2) საკუთარ თავში დაურწმუნებელი, მერევი.

màlta *f* მალტა, სამშენებლო ხსნარი.

maltèmpo *m* ავდარი, ავდრიანობა, უამინდობა, ცუდი ამინდი.

maltése 1. *agg* მალტური; 2. *m, f* მალტელი.

màlto *m* 1) ალაო; 2) ეავის სუროგატი.

maltrattaménto *m* ცუდი მოპურობა, მოქცევა.

maltrattàre 1) ცუდად მოპურობა, წვალება, წამება, ტანჯვა; 2) დაუდევრად მოპურობა; ~ un libro წიგნის უდიერად, დაუდევრად მოპურობა; 3) *გად.მნ.* მძაფრად გაკრიტიკება (*ავტორისა, წიგნისა, ფილმისა*).

malumóre *m* 1) ცუდი გუნება, ცუდი ხასიათი, ცუდი განწყობილება; essere di ~ უკუნებოდ ეოფნა, ცუდ გუნებაზე ეოფნა; 2) უთანხმოება, გაუგებრობა; 3) უკმაყოფილება.

malvågio 1. *agg* 1) ბოროტი, ავი, ცბიერი, ვერავი, მსაკვარი; 2)

ცუდი, ურიგო; quel film non è ~ ეს ფილმი ურიგო არაა; 2. *m il Malvagio* სატანა, ეშმაკი.

malvagità *f* ბოროტება, ცბიერება, ვერავობა, მსაკვრობა.

malvestito *agg* ცუდად, უკემოვნოდ ჩაცმული.

malvisto *agg* არმოსაწონი, მიუღებელი; ათვალწუნებული.

malvivènt||e *m* დამნაშავე, ბოროტმოქმედი; i ~i დამნაშავე ელემენტები.

màl volentièri, malvolentieri *adv* უხალისოდ, სურვილის გარეშე.

malvolére 1) მტრობა, სიძულვილი, აუტანლობა; 2) ანათიის ქონა, მოუხდომლობა.

màmbo *m* „მამბო“ (*ლათინურ-ამერიკული ცეკვა*).

mamelùcco, mammalùcco *m* ისტ. მამლუქი.

màmma *f* დედა; ~!, ~ mia! ა) ვაი, ვაიძე დედა!; ბ) უი, დედა!

mammèlla *f* 1) *ანატ.* სარძევე ჯირკვალი; 2) მუძუ, ქალის მკერდი; 3) ცური.

mammifero *m* მუძუმწოვარი.

mammifmo *m* 1) გადაჭარბებული, ბრმა დედობრივი სიყვარული; 2) დედის კალთასზე გამოკერება, დედოკოს ბიჭობა.

mammóne *m* *ფამ.* დედიკოს ბიჭი.

mammùt *m* 1) *ზოოლ.* მამონტი; 2) *გად.მნ.* ზორბა, ვეებერთელა ვინძე,

რამ; una donna ~ სწილოსავით ქალი.

manàt||a *f* 1) ხელის დარტყმა, ხელის შემოკვრა; 2) ზეშევი, ბლუჯა, მუჭა; a ~e ხელგამლილად, უხვად.

mànca *f* მარცხენა მხარე; a destra e a ~ ვეელებან, სულვეელებან.

mancànz||a *f* 1) ნაკლებობა, უკმარისობა, დანაკლისი, უქონლობა, არეოლა; ~ di rispetto უნატივეცემულობა; ~ di strade უკზოობა; ~ di denaro უფულობა; per ~ di qc რაიმეს უქონლობის გამო; sento la tua ~ მენატრები, მაკლიხარ; 2) შეცდომა; ცდომილება, გადაცდომა; დანაშაული; 3) გულის წასვლა, გონების დაკარგვა.

mancàre 1) უკმარობა, კლება; mancano cinque minuti alle sei ექვსს უკლია ხუთი წუთი; mancano dieci minuti alla partenza del treno მატარებლის გასვლამდე ათი წუთი რჩება; (non) ci mancherebbe altro! ევლა გვაკლდა!; 2) არდასწრება, არეოფნა; chi manca oggi? ვინ არაა დღეს?; non ci manca niente არაფერი გვაკლია, ეველაფერი გვაქვს; 3) შეცდომა, შეცდომის დაშვება; 4) მისხანს აცდენა, აცილება; ~ il gol *ზოოტ.* გოლის აცდენა; ~ l'occasione შემთხვევის ხელიდან გაშვება; \diamond mi manchi მენატრები; gli manca un venerdi! *ეულგ.* შავას ცოტა აკლია!

mànca *f* წვრილმანი გასამრ-